ცივი ომიდან კიბერეპოქამდე - სადაზვერვო სამსახურების ევოლუცია და მათი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.04

სოსლან ბერიძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ანალიტიკოსი
sosoberidze01@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0000-4267-8723

დავით ბურჯანაძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ანალიტიკოსი
devidburj@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0009-5098-3360

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება სადაზვერვო სამსახურების (სააგენტოების) ევოლუციას და მათ როლს საერთაშორისო ურთიერთობებში ცივი ომის პერიოდიდან კიბერეპოქამდე. განხილულია, თუ როგორ შეიცვალა დაზვერვის სააგენტოების ფუნქციები და გავლენა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, განსაკუთრებით კი ცივი ომის პერიოდში მიმდინარე ფარულ ომებში მონაწილეობის კუთხით. სტატიაში გადმოცემულია სადაზვერვო სამსახურების ადაპტაცია ახალ გლობალურ საფრთხეებთან, მათ შორის საერთაშორისო ტერორიზმთან, კიბერსაფრთხეებთან და მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ კამპანიებთან, ასევე, განხილულია სადაზვერვო სამსახურების გავლენა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. ყურადღება გამახვილებულია შესაბამისი ინფორმაცის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე თანამედროვე კიბერეპოქაში, სადაც ინფორმაციის ფლობა და მანიპულაცია საკვანძო იარაღად იქცა. სტატია მიზნად ისახავს გაანალიზოს სადაზვერვო სამსახურების ევოლუცია და მათი ფუნქციონირების სტრატეგიული მნიშვნელობა საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: სადაზვერვო სამსახურები, ცივი ომი, საერთაშორისო ურთიერთობები, კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო ოპერაციები.

From the Cold War to the Cyber Era - The Evolution of Intelligence Services and their Role in the International Security Architecture

Soslan Beridze
Ministry of Defense of Georgia, Analyst
sosoberidze01@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/ 0009-0000-4267-8723

David Burjanadze
Ministry of Defense of Georgia, Analyst
devidburj@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/ 0009-0009-5098-3360

Abstract

This paper examines the evolution of intelligence services (agencies) and their role in the architecture of international security from the Cold War period to the cyber era. It explores the functions and influence of intelligence agencies on the transformation throughout various historical stages, particularly during the covert conflicts characteristic of the Cold War.

The study highlights the adaptation of intelligence services to emerging global threats, including international terrorism, cyber threats, and disinformation campaigns. It also reviews the impact of intelligence agencies on international political processes. Special attention is given to the role and challenges of managing relevant information in the modern cyber era, where the possession and manipulation of information have become key weapons.

This article aims to analyze the historical development of intelligence services and their strategic role in the contemporary international security environment.

Keywords: Intelligence services, Cold War, international relations, cybersecurity, information operations.

შესავალი

სადაზვერვო სამსახურები, უძველესი დროიდან, ითვლებიან სახელმწიფოების უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტორებად და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად. დამკვიდრებული სტანდარტით დაზვერვის უმთავრესი ფუნქცია გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაბამისი და დროული სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფაა, რომელზეც, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია არათუ პიროვნებების, არამედ სახელმწიფოების ბედიც. ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-6 საუკუნეში შესაბამისი ინფორმაციის და, მათ შორის,

სადაზვერვო ინფორმაციის მნიშვნელობაზე დიდი ყურადღებას ამახვილებდა უდიდესი ჩინელი სტრატეგი და მოაზროვნე სუნ ძი, რაზეც გამოკვეთილად საუბრობს კიდეც ნაშრომში „ომის ხელოვნება“.

მათი ფუნქცია ძირითადად მოიცავს დაზვერვას, კონტრდაზვერვას, სპეციალურ ოპერაციებსა და გავლენის სფეროების მართვას, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ცივი ომის პერიოდში. იმ ეპოქაში, როცა მსოფლიო ორი ბლოკის დაპირისპირებით იყო დაყოფილი, სპეცსამსახურები აქტიურად მონაწილეობდნენ ფარულ კონფლიქტებში, როგორიცაა პოლიტიკური ჯაშუშობა, ეკონომიკური ომი და სამხედრო დაზვერვა. სწორედ მაშინ გამოიკვეთა სადაზვერვო სამსახურების მისია, როგორც გლობალური ძალაუფლების ფაქტორი, რომლებიც ხშირად განსაზღვრავდნენ საერთაშორისო კრიზისების მიმდინარეობასა და ფორმატს.

მნიშვნელოვნად დამაჯერებელი მოსაზრებაა, რომ ცივი ომის პერიოდის სოციალისტური ბანაკის სადაზვერვო სამსახურების ჩავარდნა იყო მოვლენათა ჯაჭვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი/ფაქტორი, რომელმაც შემდგომში ხელი შეუწყო აღნიშნული სოციალისტური ბანაკის დაშლას.

ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. დაიწყო ახალი ერა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გლობალიზაცია, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და ახალი საფრთხეები. შესაბამისად, მრავალპოლარულ სისტემაში სადაზვერვო სამსახურები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ, მათ მოუწიათ ადაპტაცია ისეთ უახლეს საფრთხეებთან, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ჯაშუშობა და მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანიები. ამ კონტექსტში დაზვერვის სააგენტოები აღარ არიან მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების ინსტიტუტები, მათ მოუწიათ სწრაფად ადაპტირება, ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების ინტეგრირება ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ისინი მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან გლობალურ პოლიტიკურ და სტრატეგიულ პროცესებში და ხშირად განსაზღვრავენ საერთაშორისო სტაბილურობას.

ციფრულმა ეპოქამ შეცვალა სადაზვერვო ოპერაციები, შემოიტანა გამოწვევები კიბერუსაფრთხოებასთან, მონაცემთა კონფიდენციალურობასთან და ინფორმაციის სწრაფ გავრცელებასთან დაკავშირებით. თანამედროვე სადაზვერვო სააგენტოებს ახლა ევალებათ კიბერ საფრთხეების მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მოითხოვს ტრადიციული ჯაშუშობის ტექნიკის შერწყმას უახლეს ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან. უფრო მეტიც, არასახელმწიფო აქტორების და ასიმეტრიული

ომის აღზევებამ კიდევ უფრო გაართულა სადაზვერვო ლანდშაფტი, რამაც გამოიწვია სტრატეგიებისა და პრიორიტეტების გადაფასება.

ციფრული ეპოქის შედეგია საინფორმაციო ნაკადების მეტი ინტენსივობა, სოციალურ ქსელებმა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლეობის პირად სივრცეში შეაღწია და, შესაბამისად, მანიპულირებს მათზე, მათ ცნობიერებაზე, აღქმებზე და ქმედებაზე. გამომდინარე იქიდან, ყველანაირი ურთიერთობის მთავარი ფიგურანტი მაინც ადამიანია (ადამიანთა მასები) და მათი მოქმედებები, შესაბამისად დაზვერვაც მათზე ფოკუსირებს. არსებულმა გარემოებამ, დაზვერვის წინაშე, კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნები. გამოიკვეთა სადაზვერვო დისციპლინები, როგორიც არის: „ნარატიული დაზვერვა“ და „სოციალური მედიის დაზვერვა“. დაზვერვის დისციპლინების ფლობით პოლიტიკოსები, უსაფრთხოების სამსახურები და სხვა დაინტერესებული ერთეულები აკონტროლებენ საზოგადოებრივ განწყობებს, გარე ძალების მათზე ზემოქმედების ეფექტებსა და „საზოგადოების განწყობების პულსს''. აღნიშნული ნაშრომის მიზნია, სადაზვერვო სააგენტოების ევოლუციის და საერთაშორისო ურთიერთობში მათი როლის მიმოხილვა ცივი ომიდან დღემდე.

1. ცივი ომი (Cold War) - სადაზვერვო სამსახურების „ოქროს ხანა“

ცივი ომი (1947–1991) წარმოადგენდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების გლობალურ სტადიას, სადაც პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის ნაცვლად, ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობდა იდეოლოგიით, გავლენით და ფარული ინსტრუმენტებით. სწორედ ამ პერიოდში სადაზვერვო სამსახურებმა მიაღწიეს უპრეცედენტო სიმძლავრეს და იქცნენ თითქმის დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებად.

ცივი ომის და გლობალური ცვლილებების პირობებში, სადაზვერვო სამსახურები - როგორც სახელმწიფოს უხილავი ინსტრუმენტი გაძლიერდა, არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური, არამედ ტექნოლოგიური და კულტურული თვალსაზრისითაც. დაზვერვა, როგორც პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთი გამორჩეული საშუალება, ისტორიულად არსებობდა. XX საუკუნეში მან ფუნქციური გარდატეხა განიცადა - დაიწყო ფართომასშტაბიანი ოპერაციები, ინფორმაციის დამუშავება და გავლენის მექანიზმების სისტემატიზაცია.

,,ცივი ომის'' ეპოქა იყო დაზვერვითი საქმიანობის ინტენსივობის პიკი, როდესაც ინფორმაციის ფლობა ნიშნავდა - გადარჩენას, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციის გაჟონვა - სახელმწიფოს კატასტროფას. ამ პერიოდში სადაზვერვო სპეცსამსახურები გადაიქცა იდეოლოგიური ბრძოლის ავანგარდად. ბრიტანული ელიტის ღალატი (კემბრიჯის ხუთეული), ამერიკული ტექნოლოგიური

უპირატესობის გამამტკიცებელი აგენტები (როგორიც იყო ადოლფ ტოლკაჩიოვი) და საბჭოთა კონტრდაზვერვის მანევრები ასახავს ამ ტენდენციას.

იყო დრო, როდესაც აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (КГБ) სპეცოპერაციები განსაკუთრებული აქტიურობით ხორციელდებოდა მსოფლიო მასშტაბით. ეს იყო უკომპრომისო დაპირისპირება სადაზვერვო სამსახურებს შორის, რომელიც მიცავდა ფარულ მოსმენებს, საიდუმლო აგენტების ინტეგრირებას, მოსყიდვებს, გადაბირებას და დეზინფორმაციის კამპანიებს, ასეთ კონტრასტულ გარემოში, ხშირად, ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით, მცირე ადამიანური სისუსტე უზარმაზარ გავლენას ახდენდა სახელმწიფოების უსაფრთხოების სისტემაზე, ეკონომიკასა და იმიჯზე:

კემბრიჯის ხუთეულის ღალატი: იდეოლოგიური განზომილება ცივი ომის პერიოდის სადაზვერვო ოპერაციებში. ცივი ომის ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელი სადაზვერვო ჩავარდნა უკავშირდება კემბრიჯის უნივერსიტეტის კედლებში ჩამოყალიბებულ საიდუმლო საბჭოთა აგენტურ ჯგუფს - ე.წ. კემბრიჯის ხუთეულს. ხუთი ახალგაზრდა: კიმ ფილბი, გაი ბარჯესი, დონალდ მაკლინი, ენტონი ბლანტი და ჯონ კეირკროსი, რომლებიც 1930-იან წლებში სოციალისტური იდეებით ინსპირირებულნი იყვნენ, საბჭოთა დაზვერვამ გადაბირა.[44]

მათმა მოქმედებამ შეარყია არა მხოლოდ ბრიტანეთის MI5 და MI6, არამედ ამერიკული CIA. განსაკუთრებით დამაზიანებელი აღმოჩნდა ფილბის საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თანამშრომლობდა აშშ-ს დაზვერვასთან და თანდათანობით გასცემდა აგენტების ვინაობასა და დასავლეთის სტრატეგიულ გეგმებს.[45] მის მიერ გამჟღავნებული მასალები პირდაპირ დაეხმარა საბჭოთა კავშირს ამერიკული და ბრიტანული ოპერაციების ჩაშლაში — მათ შორის ბალტიისპირეთში აგენტების გადასროლისას, რომლებიც მალევე აღმოჩენილნი და განადგურებულნი იქნენ.[46]

,,კემბრიჯის ხუთეულის'' საქმე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ გადაიკვეთა იდეოლოგიური რწმენა და ინსტიტუციური ლოიალობა, როგორ იქცა ბრიტანული ელიტის ნაწილის ღალატი გლობალურ სტრატეგიულ კრიზისად.[47]

ე.წ ,,მილიარდ დოლარიანი ღალატი''. ცივი ომის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და იდუმალ დაზვერვით ისტორიას წარმოადგენს ადოლფ ტოლკაჩიოვის საქმე — საბჭოთა ინჟინრის, რომელმაც გონივრული ნაბიჯებით და მტკივნეული არჩევანით დასავლეთს სამხედრო უპირატესობა მიანიჭა, ხოლო თავის ქვეყანაში ღალატისთვის სიკვდილი მიესაჯა. ტოლკაჩიოვი, ელექტრონიკის სპეციალისტი და სამხედრო

[44] Ben Macintyre, A Spy Among Friends: Kim Philby and the Great Betrayal (New York: Crown, 2014).
[45] Christopher Andrew, The Defence of the Realm: The Authorized History of MI5 (London: Allen Lane, 2009).
[46] Christopher Andrew, The Defence of the Realm: The Authorized History of MI5 (London: Allen Lane, 2009), 312–320.
[47] BBC, Cambridge Spies, directed by Tim Fywell (BBC, 2003), https://www.imdb.com/title/tt0346223/

ავიაციის რადარების სისტემებზე მომუშავე მეცნიერ-ინჟინერი, 1979 წლიდან CIA-სთვის აწვდიდა მნიშვნელოვან სამხედრო-ტექნოლოგიურ საიდუმლოებებს.[48] მისი საქმიანობა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ დივერსიად საბჭოთა სამხედრო სისტემისთვის. აშშ-მა მასზე დაყრდნობით მიიღო ინფორმაცია, რომელმაც მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების დაზიანება მიაყენა საბჭოთა ავიაციას.[49]

ცივი ომის პერიოდის არაერთი კრიზისი პირდაპირ იყო დაკავშირებული დაზვერვით ოპერაციებთან: **ბერლინის კედელი (1961)** – დასავლეთის და საბჭოთა ბლოკის ფარული ოპერაციების „გეოგრაფიული კედელი“. **კუბის სარაკეტო კრიზისი (1962)** – რამაც მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე დააყენა მსოფლიო და კიდევ სხვა მრავალი.

ცივი ომის პერიოდში დაზვერვა გადავიდა ადამიანური რესურსებიდან ტექნოლოგიურ დონეზე: სატელიტური დაზვერვა, რადიოთვალთვალი, სატელეფონო მიყურადება. CIA და NSA აშშ-ში, КГБ და ГРУ საბჭოთა კავშირში – ყველა უწყება ცდილობდა ინფორმაციის წაკითხვისთვის ახალი, „უხილავი“ მეთოდებით.

,,ცივი ომი'' იქცა დაზვერვის ეპოქად, სადაც სადაზვერვო სამსახურები არა მხოლოდ პოლიტიკური თამაშის ინსტრუმენტი, არამედ მისი აქტიური რეჟისორები იყვნენ. მათ მიერ წარმართული ოპერაციები ბევრ შემთხვევაში ცვლიდა საერთაშორისო დღის წესრიგს. სწორედ ამ გამოცდილებამ დააგროვა ის სტრატეგიული ცოდნა, რომელსაც XXI საუკუნის სპეცსამსახურები ეყრდნობა და იყენებს ციფრულ ეპოქაში.

2. სადაზვერვო სამსახურების ევოლუცია და მათი ფუნქციები

ცივი ომის დასრულებამ შეცვალა გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა. ორ ბლოკს შორის ბიპოლარული დაპირისპირების ნაცვლად, მსოფლიო შევიდა მულტიპოლარული კონკურენციის და ასიმეტრიული საფრთხეების ერაში. სპეცსამსახურები, რომელთაც ადრე ერთმანეთის წინააღმდეგ ,,თამაშობდნენ", იძულებულნი გახდნენ გადაწყობილიყვნენ ფუნქციურად და სტრუქტურულად. 21 საუკუნის დასაწყისში მთავარი საფრთხეები მოდიოდა არა სახელმწიფოებიდან, არამედ – არასახელმწიფო აქტორებიდან: ტერორისტული ქსელები, კიბერ-ჰაკერები და ტრანსნაციონალური კრიმინალური ჯგუფები.

2.1 CIA – ამერიკული დაზვერვის გაფართოება

CIA შეიქმნა 1947 წელს, „ეროვნული უსაფრთხოების აქტის“ საფუძველზე. მისი ფორმირება განპირობებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაზვერვის ცენტრალიზების აუცილებლობით და უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის

[48] David E. Hoffman, The Billion Dollar Spy: A True Story of Cold War Espionage and Betrayal (New York: Doubleday, 2015).
[49] Ibid., 245–252.

მზარდი გავლენის შეკავების საჭიროებით. CIA გახდა ის ინსტიტუცია, რომელმაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი, ხშირად ფარული და გადამწყვეტი როლი ითამაშა, განსაკუთრებით ცივი ომის პირობებში.[50]

ადრეულ პერიოდში CIA ძირითადად ორიენტირებული იყო საბჭოთა ბლოკის ქვეყნებზე ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. 1950–60-იან წლებში სააგენტო არაერთ საოპერაციო ქმედებაში ჩაერთო, მათ შორის ე.წ ,,რეჟიმების შეცვლის'' მცდელობებში, ირანი (1953), გვატემალა (1954) და კონგო (1960), რაც მეტყველებს მის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციაზე.[51] დაზვერვა გახდა არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების, არამედ გეოპოლიტიკური გარემოს აქტიური ფორმირების საშუალება.

,,ცივი ომის'' შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, CIA-ის მისია მკვეთრად გაფართოვდა. დაიწყო ღრმა რეფორმები, გაძლიერდა ანტიტერორისტული განყოფილებები და გაიზარდა ოპერატიული მოქმედებები.[52] გაიზარდა სადაზვერვო საშუალებების მრავალფეროვნებაც — მათ შორის ელექტრონული შპიონაჟი, კიბერშეტევები და რადიოტექნიკური დაზვერვა, რაც ადასტურებს სააგენტოს ადაპტაციის უნარს ცვალებად ტექნოლოგიურ რეალობაში.

დღეს, CIA წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და მრავალშრიან დაზვერვით სტრუქტურას, რომელიც არა მხოლოდ აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, არამედ გლობალურ პოლიტიკურ დღის წესრიგის ფორმირებაზეც ახდენს გავლენას.[53]

2.2 КГБ – საბჭოთა სიმბოლოდან დღემდე

დაზვერვის სამსახურის საბჭოთა ანალოგს წარმოადგენდა КГБ, რომელიც 1954 წელს ჩამოყალიბდა და თითქმის ოთხი ათწლეულის განმავლობაში იყო საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და შიშისმომგვრელ ინსტიტუციას. მისი სტრუქტურა, მიზნები და მოქმედებები აერთიანებდა შიდაპოლიტიკურ რეპრესიებს, უცხოურ შპიონაჟს და მასობრივი ზედამხედველობის მექანიზმებს.[54]

КГБ-ს წინამორბედი ორგანოები – ВЧК, ГПУ, НКВД და МГБ – უკვე 1917 წლიდან ითვალისწინებდნენ იდეოლოგიურ მტრებთან ბრძოლას, როგორც ქვეყნის სტრატეგიული გადარჩენის საფუძველს. КГБ ამ ხაზის ლოგიკური გაგრძელება იყო. მისი ოპერაციები მოიცავდა არა მხოლოდ კონტრდაზვერვას და უცხოეთში აგენტების

[50] Rhodri Jeffreys-Jones, The CIA and American Democracy, 3rd ed. (New Haven: Yale University Press, 2003), 1–20.
[51] Tim Weiner, Legacy of Ashes: The History of the CIA (New York: Doubleday, 2007), 79–115
[52] Mark M. Lowenthal, Intelligence: From Secrets to Policy, 8th ed. (Washington, DC: CQ Press, 2020), 232–245.
[53] Loch K. Johnson, "National Security Intelligence," in Oxford Handbook of National Security Intelligence, ed. Loch K. Johnson (Oxford: Oxford University Press, 2010), 12–28.
[54] Christopher Andrew and Vasili Mitrokhin, The Sword and the Shield: The Mitrokhin Archive and the Secret History of the KGB (New York: Basic Books, 1999), 1–23.

განთავსებას, არამედ ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას, დეზინფორმაციის გავრცელებას და გავლენის ოპერაციებს დასავლეთის პოლიტიკურ სისტემებში.[55]

ცივი ომის ეპოქაში КГБ განიხილებოდა როგორც საბჭოთა კავშირის გლობალური მძლავრი იარაღი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისეთი ოპერაციების განხორციელებაში, როგორიც იყო, მაგალითად, ამერიკული ბირთვული საიდუმლოებების მოპარვა და "წითელი ჯაჭვის" აგენტების ქსელის შექმნა ევროპასა და ამერიკაში.[56] მას გააჩნდა უზარმაზარი ბიუროკრატიული რესურსი და პირდაპირ ექვემდებარებოდა საბჭოთა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რაც ამტკიცებდა მის პოლიტიკურ დანიშნულებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ КГБ ოფიციალურად დაიშალა 1991 წელს. მისი ძირითადი ფუნქციები გადანაწილდა ახალ სტრუქტურებზე: ФСБ-ზე (უსაფრხოების ფედერალური სამსახური) - შიდა უსაფრთხოება და კონტრდაზვერვა, ხოლო СВР-ზე (საგარეო დაზვერვის სამსახური) - საგარეო დაზვერვა.[57] თუმცა რუსეთში სადაზვერვო სისტემა არ განიცდიდა იმ მასშტაბურ დემოკრატიულ ცვლილებებს, რასაც დასავლური სახელმწიფოების მაგალითზე ვხედავთ. ახალი მმართველობის პირობებში, ძველი სტრუქტურის ლოგიკა და მენტალიტეტი კიდევ უფრო გაღრმავდა.

თანამედროვე რუსეთის დაზვერვა კვლავ აქტიურად იყენებს საბჭოთა ტრადიციებს – დეზინფორმაციას, შიდა ოპოზიციის დევნას, გავლენის აგენტურულ ქსელებს და კიბერბრძოლას. КГБ-ის მემკვიდრეობა ცხადად შეიმჩნევა დღევანდელ გეოპოლიტიკურ მოვლენებშიც, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.[58]

2.3 MI6 – ბრიტანული სადაზვერვო სააგენტო

,,ცივი ომის'' კიდევ ერთი აქტიური მონაწილე დიდი ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახური, ოფიციალურად Secret Intelligence Service (SIS), ფართოდ ცნობილია MI6-ის სახელით. დაარსება 1909 წელს, როგორც ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ინსტრუმენტი. XX საუკუნის განმავლობაში MI6 იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და დახვეწილ დაზვერვით სტრუქტურად, რომელსაც ჰქონდა გლობალური სადაზვერვო ქსელი და სტრატეგიული პარტნიორობა, განსაკუთრებით CIA-სთან.[59]

MI6-ის პირველი დიდი გამოწვევები დაკავშირებული იყო როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის პერიოდთან, მაგრამ რეალური აღმავლობა მოხდა ცივი ომის

[55] Amy Knight, The KGB: Police and Politics in the Soviet Union (Boston: Unwin Hyman, 1990), 75–110.
[56] John Earl Haynes, Harvey Klehr, and Alexander Vassiliev, Spies: The Rise and Fall of the KGB in America (New Haven: Yale University Press, 2009), 135–156.
[57] Mark Galeotti, The Security Organs of the Russian Federation: A Brief History (Oxford: Osprey, 2014), 12–35.
[58] Andrei Soldatov and Irina Borogan, The Red Web: The Struggle Between Russia's Digital Dictators and the New Online Revolutionaries (New York: PublicAffairs, 2015), 40–69.
[59] Keith Jeffery, MI6: The History of the Secret Intelligence Service 1909–1949 (London: Bloomsbury, 2010), 1–18.

ეპოქაში. მაშინ ბრიტანეთის დაზვერვამ თავი გამოიჩინა როგორც ანტიკომუნისტური ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე. თუმცა ამ პერიოდშივე განიცადა მნიშვნელოვანი ჩავარდნებიც ე.წ. **კემბრიჯის ხუთეულის** სკანდალი.[60]
1970–90-იან წლებში MI6-მა გადალახა შიდა კრიზისები, დაწესდა საჯარო ანგარიშვალდებულება, ხოლო XXI საუკუნეში მან ფუნქციები გაფართოებული ფორმით განაგრძო, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და გლობალურ უსაფრთხოებაზე ინფორმაციის ანალიზში. MI6 აგრძელებს მუშაობას ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, მაგრამ ასევე მონაწილეობს ინფორმაციული ოპერაციებისა და კიბერ-საფრთხეების მართვაში.[61]

MI6-ის მოქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი ტრადიციული დახურული ბუნება. მხოლოდ 1994 წლიდან გახდა მის არსებობაზე ოფიციალური საჯარო აღიარება.[62] მიუხედავად ამისა, მისი კულტურული გავლენა დიდი ხანია გასცდა პოლიტიკის ფარგლებს.[63]

2.4 MSS – ჩინეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო

დღევანდელი მულტიპოლარული გაერმოს გამორჩეული სუბიექტის, ჩინეთის მთავარი საგარეო და შიდა დაზვერვის ორგანო – სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო **(MSS)** – დაარსდა 1983 წელს, როდესაც გაერთიანდა პარტიული დაზვერვა და პოლიციის საგანგებო ქვედანაყოფები. მისი მიზანი იყო ერთიანი და ძლიერ ცენტრალიზებული სადაზვერვო სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც დაემორჩილებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ პრინციპებსა და ავტორიტარულ სახელმწიფოებრივ საჭიროებებს.[64]

MSS წარმოადგენს სადაზვერვო სტრუქტურას, რომელიც შერწყმულია სახელმწიფო აპარატთან და პირდაპირ ანგარიშვალდებულია მის წინაშე. მისი ფუნქციები მოიცავს უცხოეთიდან ინფორმაციის მოპოვებას (განსაკუთრებით პოლიტიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური მიმართულებებით), ქვეყნის შიდა

[60] Ben Macintyre, A Spy Among Friends: Kim Philby and the Great Betrayal (New York: Crown, 2014), 50–98.
[61] Richard J. Aldrich, GCHQ: The Uncensored Story of Britain's Most Secret Intelligence Agency (London: HarperPress, 2010), 210–236.
[62] Christopher Andrew, "Intelligence, International Relations and 'Under-theorisation'," Intelligence and National Security 19, no. 2 (2004): 170–184.
[63] David Stafford, The Silent Game: The Real World of Imaginary Spies (Athens: University of Georgia Press, 1991), 145–158.
[64] Peter Mattis and Matthew Brazil, Chinese Communist Espionage: An Intelligence Primer (Annapolis: Naval Institute Press, 2019), 112–137.

მტრების იდენტიფიკაციას, ეთნიკური უმცირესობების კონტროლს, და ინტერნეტ სივრცის მონიტორინგს.[65]

MSS-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო დასავლეთის ქვეყნების ანალიტიკოსებს XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც დაიწყო ფართომასშტაბიანი **კიბერ-დაზვერვის** ოპერაციები – განსაკუთრებით აშშ-ისა და ევროპის წინააღმდეგ. ამ ოპერაციების სამიზნეები გახდნენ მაღალტექნოლოგიური კომპანიები, უნივერსიტეტები და სტრატეგიული ინდუსტრიული ცენტრები.[66] ჩინეთის სტრატეგია ეყრდნობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სპონსორირებული ჰაკერული ჯგუფების გამოყენებას (მაგალითად, APT 10), ხოლო, მეორე მხრივ, ჩინურ დიასპორას და ბიზნესს, როგორც პოტენციურ ინფორმაციაზე წვდომის არხებს.[67]

განსხვავებით დასავლური დაზვერვებისგან, MSS არ არის საჯაროდ ანგარიშვალდებული და პრაქტიკულად არ არსებობს მისი საქმიანობის კანონმდებლური ზედამხედველობა. სწორედ ამის გამო, ის ხშირად განიხილება როგორც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დახურულ და იდეოლოგიურად მოტივირებულ დაზვერვით სტრუქტურად.[68] მისი მოქმედება პირდაპირ არის ჩართული ჩინეთის გლობალურ სტრატეგიებში, მათ შორის "ერთი გზა, ერთი სარტყელის" ეკონომიკურ პროექტებში, ასევე შიდა სტაბილურობის შენარჩუნებაში.

დასკვნა

სადაზვერვო სამსახურები თანამედროვე სახელმწიფოებისთვის მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტი არ არის. ისინი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად გვევლინებიან სტაბილურობისა და ეროვნული თუ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

დაზვერვის სამსახურების ევოლუცია მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც გლობალურ პროცესებთან, ასევე შიდა პოლიტიკურ სტრატეგიებთან, ინსტიტუციურ სტრუქტურებთან და ტექნოლოგიურ პროგრესთან. განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ მათი განვითარების ტრაექტორია იყო განსხვავებული, მაგრამ საერთო ტენდენციით — გაფართოება, პოლიტიზაცია და ტექნოლოგიური ინტეგრაცია.

[65] Nicholas Eftimiades, Chinese Intelligence Operations (Annapolis: Naval Institute Press, 1994), 89–101.
[66] Samantha Hoffman, "Programming China: The Communist Party's Autonomy Security Policy," Mercator Institute for China Studies (MERICS), December 2017.
[67] James Mulvenon, "Cyber Operations and China's Intelligence Services," Testimony before the U.S.-China Economic and Security Review Commission, 2009.
[68] Elsa Kania and John Costello, "China's Strategic Thinking on Building Power in Cyberspace," Center for a New American Security, September 2018.

სადაზვერვო სამსახურები აღარ შემოიფარგლებიან მხოლოდ კლასიკური დაზვერვით. ისინი პოლიტიკური ნების რეალიზაციის ინსტრუმენტებად იქცნენ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებასა და ცვლილებაში. ამასთან, თანამედროვე ეპოქაში, ტექნოლოგიური რბოლისა და ჰიბრიდული საფრთხეების ფონზე, სადაზვერვო სისტემები მუდმივად ცდილობენ ადაპტაციას და საკუთარი ეფექტიანობის ზრდას.

მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება და სადაზვერვო სამსახურები კიდევ უფრო გაძლიერდებიან როგორც გლობალურ სტრატეგიულ თამაშში, ასევე სახელმწიფოების შიდა პოლიტიკურ სტრუქტურებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aldrich, Richard J. The Hidden Hand: Britain, America and Cold War Secret Intelligence. London: John Murray, 2001.
2. Amy Knight, The KGB: Police and Politics in the Soviet Union (Boston: Unwin Hyman, 1990), 75–110.
3. Andrew, Christopher. The Secret World: A History of Intelligence. New Haven: Yale University Press, 2018.
4. BBC, Cambridge Spies, directed by Tim Fywell (BBC, 2003), https://www.imdb.com/title/tt0346223/
5. Ben Macintyre, A Spy Among Friends: Kim Philby and the Great Betrayal (New York: Crown, 2014).
6. Ben Macintyre, A Spy Among Friends: Kim Philby and the Great Betrayal (New York: Crown, 2014), 50–98.
7. Christopher Andrew, “Intelligence, International Relations and ‘Under-theorisation’,” Intelligence and National Security 19, no. 2 (2004): 170–184.
8. Christopher Andrew, The Defence of the Realm: The Authorized History of MI5 (London: Allen Lane, 2009).
9. David E. Hoffman, The Billion Dollar Spy: A True Story of Cold War Espionage and Betrayal (New York: Doubleday, 2015).
10. David Stafford, The Silent Game: The Real World of Imaginary Spies (Athens: University of Georgia Press, 1991), 145–158.
11. Garthoff, Raymond L. The Great Transition: American-Soviet Relations and the End of the Cold War. Washington, D.C.: Brookings Institution Press, 1994.
12. Hitz, Frederick P. The Great Game: The Myth and Reality of Espionage. New York: Knopf, 2004.

13. James Mulvenon, “Cyber Operations and China’s Intelligence Services,” Testimony before the U.S.-China Economic and Security Review Commission, 2009.
14. John Earl Haynes, Harvey Klehr, and Alexander Vassiliev, Spies: The Rise and Fall of the KGB in America (New Haven: Yale University Press, 2009), 135–156.
15. Johnson, Loch K. National Security Intelligence. Cambridge: Polity Press, 2012.
16. Keith Jeffery, MI6: The History of the Secret Intelligence Service 1909–1949 (London: Bloomsbury, 2010), 1–18.
17. Knight, Amy. Spies Without Cloaks: The KGB’s Successors. Princeton: Princeton University Press, 1996.
18. Loch K. Johnson, “National Security Intelligence,” in Oxford Handbook of National Security Intelligence, ed. Loch K. Johnson (Oxford: Oxford University Press, 2010), 12–28.
19. Mark Galeotti, The Security Organs of the Russian Federation: A Brief History (Oxford: Osprey, 2014), 12–35.
20. Mark M. Lowenthal, Intelligence: From Secrets to Policy, 8th ed. (Washington, DC: CQ Press, 2020), 232–245.
21. Mulvenon, James C., and Andrew N. D. Yang, eds. The People's Liberation Army as Organization: Reference Volume. Santa Monica: RAND Corporation, 2002.
22. Nicholas Eftimiades, Chinese Intelligence Operations (Annapolis: Naval Institute Press, 1994), 89–101.
23. Peter Mattis and Matthew Brazil, Chinese Communist Espionage: An Intelligence Primer (Annapolis: Naval Institute Press, 2019), 112–137.
24. Rhodri Jeffreys-Jones, The CIA and American Democracy, 3rd ed. (New Haven: Yale University Press, 2003), 1–20.
25. Richard J. Aldrich, GCHQ: The Uncensored Story of Britain’s Most Secret Intelligence Agency (London: HarperPress, 2010), 210–236.
26. Richelson, Jeffrey T. The U.S. Intelligence Community. 7th ed. Boulder: Westview Press, 2015.
27. Riehle, Kevin. Intelligence and the State in the Post-Cold War Era: A Comparative Study. London: Routledge, 2020.
28. Samantha Hoffman, “Programming China: The Communist Party’s Autonomy Security Policy,” Mercator Institute for China Studies (MERICS), December 2017.
29. Tim Weiner, Legacy of Ashes: The History of the CIA (New York: Doubleday, 2007), 79–115.